



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/453

10 / აპრილი / 2019 წ.



KA000014900004819

ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქ. N7-ში შპს „აისბერგ ფოთი“-ს მიწის ნაკვეთის (ს/კ N 04.01.03.820) მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხზე გადასასვლელი ნაგებობის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2019 წლის 3 აპრილს, N172 წერილით მომართა შპს „აისბერგ ფოთი“-ს დირექტორმა და ითხოვა ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქ. N7 მიწის ნაკვეთის (ს/კ N 04.01.03.820) მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხზე გადასასვლელი ნაგებობის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ შპს „აისბერგ ფოთი“-ს წერილი და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2009 წლის 24 მარტის, №57 დადგენილების, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 15 იანვრის, № 59 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ამდენად, შესაძლებელია ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქ. N7-ში შპს „აისბერგ ფოთი“-ს მიწის ნაკვეთის (ს/კ N 04.01.03.820) მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხზე გადასასვლელი ნაგებობის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შპს „აისბერგ ფოთი“-ს წერილის შესაბამისად შეთანხმებულ იქნას ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქ. N7-ის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 04.01.03.820) მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხზე გადასასვლელი ნაგებობის პროექტი (თანახმად დანართისა) და გაცემულ იქნას სანებართვო მოწმობა 2019 წლის 15 აპრილიდან 2019 წლის 1 ივნისამდე.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. N 3).

3. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ბრძანებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას გაეცნონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. N 12).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

გონა კურდღელია